ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/14

დაბა ქედა, **13 ოქტომბერი, 2023 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:55 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/14 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

13 ოქტომბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №01-06/14 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იყო კიდევ ერთი საკითხი ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაზედაც ითხოვა წარმოდგენილ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ ცვლილება და წარმოადგინა №01-06/14 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ქონების მართვის განყოფილების უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №01-06/14 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232795-95, 06.10.2023 წელი), სადაც ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში წარმოადგინა შემდეგი სახის ცვლილებები:

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა - /+	შენიშვნა
1		დამატებითი ღირებულების გადასახადი	229 100	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 სექტემბრი №04-03/76743
	01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა	1 000	სხვა ხარჯებიდან მიღებული ეკონომიიდან
2	01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	5 000	სოციალური უზრუნველყოფიდან მიღებული ეკონომიიდან
3	02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	63 500	სხვა ხარჯებიდან მიღებული ეკონომიიდან
4	02 03 01 08	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	2 500	არაფინანსური აქტივი მიღებული ეკონომიიდან
5	02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	5 000	სხვა ხარჯები (არ ტარდება ღონისძიება)
6	05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	10 000	საქონელი და მომსახურეობა მიღებული ეკონომიიდან
7	06 01 04	ოპერაციული მკურნალობის დაფინანსება	20 000	მიღებული ეკონომიიდან
8	06 01 07	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნვეყოფა	4 165	ხელშეკრულებიდან მიღებული ეკონომიიდან
9	06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	22 935	ხელშეკრულებიდან მიღებული ეკონომიიდან
10	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	6 750	ხელშეკრულებიდან მიღებული ეკონომიიდან
11	06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	23 000	მიღებული ეკონომიიდან
12	02 03 01 03	სოციალური სახლის მშენებლობა (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა)	200 000	სოციალური სახლის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. ამასთან

				ეკომიგრანტთა გაზრდილი რაოდენობის გამო საჭირო გახდა სახლში საცხოვრებელი ფართობების გაზრდა, რის გამოც მისი პროექტირებისათვის გამოყოფილი ხარჯების მიმდინარე წელში ათვისება შეუძლებელია.
13	02 03 01 04	ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრში, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობა	41 100	სამუშაოების შესყიდვის დროს სატენდერო პროცედურით მიღებულია ეკონომია 41100 ლარი.
14	02 03 03 02	დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული კედლის მოპირკეთება	18 000	სამუშაოების შესყიდვის დროს სატენდერო პროცედურით მიღებულია ეკონომია 18000 ლარი, რომლის გამოყენება შესაძლებელია შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად
15	02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	7 500	სამუშაოების შესყიდვის დროს სატენდერო პროცედურით მიღებულია ეკონომია 7500 ლარი, რომლის გამოყენება შესაძლებელია შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად
16	05 01 04 03	ზუნდაგის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	21 000	სამუშაოების შესყიდვის დროს სატენდერო პროცედურით მიღებულია ეკონომია 21000 ლარი, რომლის გამოყენება შესაძლებელია შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად

17	02 03 01 07	ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	100 000	პროექტის შესყიდვისათვის გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. წლის დარჩენილი დროის მონაკვეთში შეუძლებელია სატენდერო პირობებით ხელშეკრულების გაფორმება და შემდგომ სამუშაოების შესრულება, ამიტომ აღნიშნული ფინანსები შესაძლებელია გამოყენებული იქნას შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაციისა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად
ჯამი			780 550	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	281 100	შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების თაობაზე შეძენილი პროექტების შესაბამისი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, კერძოდ სოფელ წონიარისში ბარამიძეების უბანში მისასვლელი გზის გაპირის გამაგრებისათვის, სოფელ სირაბიძეებში ილია სირაბიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობისათვის, დაბა ქედაში აბაშიძის ქუჩაზე გზის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის საჭიროა 281100 ლარის დამატება
2	02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	106 500	106 500 არაფინანსური აქტივები, მუხლებს შორის თანხის გადატანა(59000 ლ. არაფინანსური აქტივიდან სხვა ხარჯებში)

3	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	0	მუხლებს შორის ცვლილება 25 000 ლარი მათ შორის: (საქონელი და მომსახურებიდან 13 000 ლარი და არაფინანსური აქტივებიდან 12 000 ლარი აკლდება და გადადის შრომის ანაზღაურების ფონდში 25 000 ლარი)
4	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	25 785	ტრანსპორტის მიმდინარე რემონტი (ჯანდაცვის სამსახური 1000 ლარი, შიდა აუდიტის სამსახური 1500 ლარი) მუხლებს შორის თანხის გადატანა(2013 ლ, შრომის ანაზღაურების მუხლიდან სოციალურ უზრუნველყოფაში, საქონელი და მომსახურეობიდან არაფინანსურ აქტივში 25000ლ.) არაფინანსური აქტივები 23 285 ლ.
5	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	80 000	შრომის ანაზღაურების ფონდი, მუხლებს შორის თანხის გადატანა(6250 ლ, შრომის ანაზღაურების მუხლიდან სოციალურ უზრუნველყოფაში)
6	05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	39 590	მუხლებს შორის ცვლილება 33 473 ლარი მათ შორის:(საქონელი და მომსახურეობას 33 473 ლარი აკლდება და გადადის სხვა ხარჯებში 27 573 ლარი, არაფინანსურ აქტივებში 5900 ლარი) დამატება მათ შორის: საქონელი და მომსახურეობა 17 160 ლ მათ შორის:(სანტექნიკა 4 600 ლ, საბურავები (ზამთრის) 3600 ლ, საკანცელარიო 2600 ლ, სპორტული ღონისძიება 6 000 ლ და ქართულენოვანი პროგრამა 360 ლ)სხვა ხარჯი 3 430 ლ მათ შორის: (2 040 ლარი სპორტული

				ღონ. და 1390 ლარი ტრანსპორტის დაზღვევა), არაფინანსური აქტივი 19 000 ლ. (12 000 ლ. ჩოგბურთის მაგიდა და 7000 ლ. პიკაპის საბარგულის ხუფი)
7	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	15 000	მოქალაქეების მაღალი მომართვიანობის გამო საჭირო გახდა აღნიშნულ პროგრამაში თანხის დამატება
8	06 02 06	ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	2 500	მოქალაქეების მაღალი მომართვიანობის გამო საჭირო გახდა აღნიშნულ პროგრამაში თანხის დამატება
9	06 02 14	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	7 200	მოქალაქეების მაღალი მომართვიანობის გამო საჭირო გახდა აღნიშნულ პროგრამაში თანხის დამატება
10	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	76 000	შრომის ანაზღაურება 32 000, საქონელი და მომსახურეობა 44000 ლარი მათ შორის:(ელ.ენერგ. 1550 ლარი, მივლინ. ქვეყ. შიგნ. 500 ლარი, წარმომად. ხარჯი 850 ლარი, სანიტარული 1100 ლარი, 40000 საახალწლო განათებებისა და აქსესუარების შეძენა).
11	05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	9 575	შრომის ანაზღაურების ფონდი
12	03 01 02	ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული)	52 300	
13	05 02 03	ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი	23 200	8700 ლარი შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურეობა 14500 მათ შორის:(400 ლარი ინტერნეტი, 10000 შტატგარეშე, 500 ლარი მიმდინარე რემონტი(სახურავი გეგელიძეები), 1600 ლარი

				ვიდეო კამერები, 2000 ლარი კინოაპარატურის მონტაჟი).
14	06 01 01	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	1 800	ავტომანქნის ზეთი და შ.პ.ს-ეს წილი საპენსიო დანამატი
15	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	10 000	
16	01 02 01	სარეზერვო ფონდი	50 000	(30000ლ 5%-იანი სარეზერვო ფონდის გასწორება) 20 000 ლ. დამატება
17	02 02 02	შპს წყალკანალი	0	სუბსიდიიდან სხვა ხარჯებში 13 500 ლარი.
ასიგნებების ჯამი			**780 550**	**X**
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვისას შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებიც დასწრებოდნენ საკრებულოს სხდომას, თუმცა დღემდე ეს საკითხი არ იქნა სისრულეში მოყვანილი. შემდეგ კითხვით მიმართა მომხსენებელს, კერძოდ როგორ ხდება პრიორიტეტების მინიჭება და ვინ იღებს გადაწყვეტილებებს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისა და საყრდენი კედლის მოწყობასთან დაკავშირებით. ასევე დაინტერესდა ქედის სასპორტსკოლაზე ცვლილებათა რეესტრში გამოყოფილი 12000 ლარით რამდენი ჩოგბურთის მაგიდის შეძენა იქნებოდა შესაძლებელი და შეძენილი ინვენტარი მხოლოდ სასპორტო სკოლისთვის იყო განკუთვნილი თუ მათი გადანაწილება მოხდებოდა მუნიციპალიტეტის თემებში. ასევე აღნიშნა რა აუცილებლობას წარმოადგენდა 7000 ლარის გამოყოფა პიკაპის საბარგულის ხუფის შესაძენად.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ შიდა სასოფლო გზების მოწყობასა და საყრდენი კედლის გამაგრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური უზრუნველყოფდა ადგილზე შესწავლით, შემდეგ გეოლოგების ჯგუფის მიერ ხდება ტერიტორიის შეფასება და დასკვნის მომზადება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მათი პრიოროტეტებად დაყოფა და საბოლოოდ მერის ბრძანებით მტკიცდება აღნიშნული საკითხი, ხოლო ჩოგბურთის მაგიდების შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილი იყო 6 მაგიდის შეძენა იყო დაგეგმილი. ნაწილი სასპორტი სკოლას უნდა გადაეცეს, რომელის ნაწილიც განთავსება ვაიოსა და სოფელ ოქტომბრის სკოლებში.

პიკაპის საბარგულის ხუფის შესაძენად გამოყოფილ 7000 ლართან დაკავშირებით კი განმარტა, რომ საკრებულოს უნდა გადაეწყვიტა მისი საჭიროების საკითხი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ სხდომაზე დამსწრეთ მიმართა წინადადებით, რომ კომისიის წევრებმა იმსჯელეს ააიპ

სასპორტო სკოლის ბიუჯეტის ნაწილში პიკაპის საბარგულის ხუფის შეძენის თაობაზე და ამ ეტაპზე მისი შეძენის საჭიროებას ვერ ხედავდნენ. ამიტომ მათი აზრით მიზანშეწონილი იყო გამოყოფილი 7000 ლარი გადატანილიყო მედიკამენტების შეძენის მუხლში ან მერის სარეზერვო ფონდში. ამირან წულუკიძემ სხდომის თავმჯდომარეს მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრების სახელით კენჭისყრაზე დაეყენებინა წინადადება 7000 ლარის მედიკამენტებით უზრუნველყოფის მუხლში გადატანაზე.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოდგენილი წინადადება 7000 ლარის მუხლიდან მუხლში გადასვლის ცვლილება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული ცვლილების ასახვით კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე და ირაკლი მახარაძე).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ცვლილების გათვალისწინებით.
(დადგენილება №9, 13.10.2023 წელი).

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი(წერილის ნომერი: №95-95232821, 09.10.2023 წელი) და განმარტა, რომ 2023 წლის 29 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე გასულ პროექტში იყო ხარვეზი, კერძოდ, დადგენილების ნომერი და სარეგისტრაციო კოდი დარჩენილი იყო ძველი დადგენილების, რის გამოც ცვლილების შეტანა 2022 წლის მოქმედ დადგენილებაში ვერ მოხერხდა. აღნიშნული ხარვეზის გასწორება საკრებულოს სხდომის გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომაც მოხდა დადგენილების პროექტის სხდომაზე ხელმეორედ გატანა და საკრებულოს მიერ მისი გასწორება, რათა გასწორებული ვარიანტი გადაიგზავნოს ოფიციალურად გამოსაქვეყნებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე და ირაკლი მახარაძე).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №10, 13.10.2023 წელი).

3. მოისმინეს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძემ საკრებულოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232771-95, 04.10.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-ს დაფუძნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს მიმდინარე წლის 30 აგვისტოს შპს საფეხბურთო კლუბი ,,ბეთლემი"-ს (ს/კ 446754245) გასხვისების დროს, რატომ ვერ მოხერხდა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების სექციის გახსვისებაც, ან რა საჭიროებას წარმოადგენდა ახალი ა(ა)იპ-ის შექმნა მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი-ქედა" დაქვემდებარებოდა ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა-ს. დავით სირაბიძე პრობლემად მიიჩნევდა ქედის მუნიციპალიტეტში ხელოვნურად გაზრდილ შტატების რაოდენობასაც, რადგანაც ეს ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა იყო, იმის ფონზე როცა დახმარების სათხოვნელად მოსულ მოქალაქეს მერიაში შეიძლება უარი ეთქვას ბიუჯეტში არასაკმარისი თანხის გამო. ასევე კითხვით მიმართა მომხსენებელს რა დაუჯდებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"-ს მოვლა/შენახვა მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარე წლის 30 აგვისტოს შპს საფეხბურთო კლუბი ბეთლემი (ს/კ 446754245) გასხვისებული იქნა 29 წლის იჯარით, მანამდე კლუბის 100% წილის მფლობელი მუნიციპალიტეტი იყო. კლუბში ფუნქციონირებდა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების სექცია, სადაც სამი ასაკობრივი ჯგუფია და ირიცხება 90 ბავშვი, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის მერია პროგრამულად აფინანსებდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფრომა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ ვინაიდან, მოიჯარეს ხელშეკრულების პირობების თანახმად არ აქვს ვალდებულება ბავშვთა ფეხბურთის სექციის დაფინანსების, შესაბამისად მასში ჩართული როგორც ბავშვები, ასევე თანამშრომლები დარჩენ უფუნქციოდ. ჯემალ ტაკიძემ აღნიშნა, რომ კლუბი ,,ბეთლემი" ამ პერიოდისათვის მეოთხე ლიგაში იმყოფებოდა და არ ჰქონდა ვალდებულება საბავშვო სექციის შენარჩუნების, რადგანაც კლუბის დაფინანსება ხდება კერძო ინვესტიციით, რაც ქართულ ფეხბურთში იშვიათობაა და ინვესტორისათვის დამატებით ბავშთა გუნდისთვის ხარჯების გაწევა არ იყო ამ ეტაპზე ინტერესის სფერო.

აქედან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მიზნით შექმნას ახალი ორგანიზაცია არასამაეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება - ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და

ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, სამომავლოდ კვალიფიცირებული ფეხბურთელების აღზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდისათვის შესაბამისი რეზერვის შექმნა. გარდა ამისა არსებული ბავშვთა ფეხბურთის სექცია ფუნქციონირებას ახალი ორგანიზაციის შემადგენლობაში გააგრძელებს და აქტიურად იქნება ჩართული სპორტულ ცხოვრებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -4 (დავით სირაბიძე, შორენა კარანაძე, მინდია არძენაძე და ირაკლი მახარაძე).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232862, 13.10.2023 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (წერილის ნომერი: №12-95232854-95, 12.10.2023 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული მოძრავი ქონება შემდგომი ექსპლუატაციისათვის და უკეთ მოვლა-შენახვის მიზნით, თხოვების უფლებით, ათი წლის ვადით გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილის მფლობელ შპს „ქედის კომუნალურსერვისი"-ს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95232861, 13.10.2023 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:55 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**